

მწყემესი



მე ვარ მწყემესი კეთილი: მწყემესან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10 - 11.
მკვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15-4.
მოვედით ჩემდა ყოველნი მამუარაღნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 4

1883 — 1899


28 თებერვალი

დამოკიდებულება სასწაურობასა და ზნეობას შორის.



ა მხრითაც უნდა შევხედოთ აწყო დროს, იგი ბევრ არაფერ სანუგეშოს წარმოგვიდგენს. ყველგან ენიშნაეთ რა-ღაცა გონების არეულობას, შესაზარ რყევას და გულის ხმიერობისა და გონების არე-დარევას. გამოჩნდნ ბევრი, დაუპატიჟებელი მასწავ-ლებელნი, რომელთაც არც კი უწყიან, თუ როგორ და რას ასწავლიან. „დღეს ბევრნი არიან მშენებელნი, ამბობს ლიუტარტი, მაგრამ თვით შენობის შესახებ ატყეილია დავა, და ბაბილონური ენათა არევა დღე-დღეობით უფრო და უფრო ძლიერდება. ასეთმა გონების არეულობამ პირველად თავი იჩინა დასავ-ლეთ ევროპაში, სადაც წარსული საუკუნეიდან იწყეს

ზეპირ გაღმაცემათა და მამა-პაპათა რწმუნების უარ-ყოფა, და ყველანი თავისუფლად და თავისებურად სჯიან და სრულგებით უარსა ჰყოფენ სარწმუნოებასა და ეკლესიის მეთაურობას. ასეთმა არა სანატრელმა მიმართულებამ ჩვენშიაც მალე იშოვა ნიადაგი. დღეს ჩვენშიც ბლომად მოიპოვებთან ისეთი პირნი, რომელნიც მზად არიან უარ-ჰყონ ეკლესიური სწავლა და ცხოვრება. დღეს მრავლად არიან ჩვენ შორის ისეთი განათლებულნი პირნი, რომელნიც სარწმუ-ნოების საქმეში სრულ გულციობას იჩენენ და თავის გასამართლებლად იმას გვიჩვენებენ, თითქო, სარწმუ-ნოებას ზნეობის საქმეში არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს. «ვინც და როგორც გინდა ისე ირწ-მუნე, ოღონდ იცხოვრე კარგად და ძმურად მოიქე-ცე. ასეთმა სწავლა-მოძღვრებამ ბევრი მიმდევარი იშოვა, განსაკუთრებით კოტაიდან და განათლებულ საზოგადოებაში. ასეთი სწავლა-მოძღვრება ძირს



უთხრის სარწმუნოებასა და მის ნაცვლად გვითითებს კაცის ბუნებრივი-ზნეობის დასაწყისზე, რომელიც დამყარებულია კაცის პიროვნების პატივისცემაზე.

მაგრამ ზნეობა და სარწმუნოება ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანერთ შორის, რომ მათი გაცალკევება ნიშნავს კაცის პიროვნების უარყოფას. კაცს კაცად ხდის რწმენა ღვთისა და კეთილი სინდისი. სარწმუნოების ზნეობისგან გაცალკევება იმას ნიშნავს, რომ უარყვით კაცის ერთობა. სარწმუნოება და ზნეობა ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთი მეორესთან, როგორც ხე და მისი ნაწივი. სარწმუნოება თვინიერ სიყვარულისა უნაყოფო ხეა, ხოლო სიყვარული თვინიერ სარწმუნოებისა არის ხე, მოცილებული თავის ძირისაგან. რამდენათაც ძლიერად და ღრმად არიან მიწაში ფესვები, მით უფრო მტკიცედ დგას ხე, უკეთესად იზრდება და იძლევა საუკეთესო ნაყოფს. რამდენათაც მწვანე და ახალი ფოთლები, მით უფრო უკეთესად საზრდოებენ ტოტები და მთელი ხის ტანიც კანონიერად იზრდება. როცა ხეს ფურცლები სცვივა, ხის ზრდაც ჩერდება. ფესვები ღებნიან და ტოტები ხმება. მოაშორეთ ხე ძირს და იგი მალე განმება კიდევ.

სწორეთ ასე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ურთიერთ შორის სარწმუნოება და ქრისტიანული ცხოვრება. რამდენათაც მტკიცე და ძლიერია ჩვენში სარწმუნოება, იმდენად უფრო უხვად ვხედავთ ქველის საქმეთა; ხოლო ჭეშმარიტად ღვთის სასიამოვნო ცხოვრება თავის მხრით სწმენდს, ანათლებს და აძლიერებს ჩვენში სარწმუნოებას. ამიტომაც არის რომ საღმრთო წერილში ყველაზე უწინარეს მოთავსებულია სარწმუნოებისა და სიყვარულის ერთობა და მასთან კარგი ყოფა-ქცევა. ათ მცნებაში ცხადად არის გამოხატული სარწმუნოებისა და ზნეობის ერთობა და მოყვასთა სიყვარული. ახალ აღთქმაში იესო ქრისტე ღვთის და მოყვასის სიყვარულს აღიარებს ორ ერთი-ერთმანეთისაგან დაუშორებელ მცნებად, რომელთა ზედა დაფუძნებულია მთელი სჯული და ჩვენი ცხოვრების საქმე, და ღვთის-დმი სარწმუნოებაში ხედავს იგი დასაწყის და წყაროს ქრისტიანული ცხოვრებისას. საკმაოა გრწამდეს მხოლოდ ქრისტე, ძე ღვთისა, რათა გაქვდეს ცხოვრება საუკუნო და შეგიძლია მოიმოქმედო ქველის საქმენი.

„მხოლოდ რომელმან ჰხადოს სახელსა უფლისასა მსცხოვდეს (რომაელ. 10, 13).

მეორეს მხრით არც მარტო ღვთის სახელის მოწოდებაა საკმაო. «არა ყოველმან, რომელმან მრქვას მე: უფალო! უფალო! და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა; არამედ რომელმან ჰყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეტათასა» (მათ. VII, 21), იტყვის უფალი. «ვითარცა ხორცი თვინიერ სულისა მკვდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ-არს. (იაკობისა 2, 26).

წმიდა, მოციქული, პავლე სრულს მნიშვნელობას აძლევს მხოლოდ სარწმუნოებას სიყვარულისაგან შეწვენილს და მცნებათა ღმრთისათა დამარხულს (გალატ. 5, 6, 1 კორინთ. 7, 19).

და წმ. მამანი და ეკლესიის მასწავლებლნი ძლიერ ცხადად და განსაზღვრულად უჩვენებდენ სარწმუნოებასა და კეთილ საქმეთა შორის ვიწრო კავშირს და ურთიერთ შორის დამოკიდებულებას.

წმ. კირილე იერუსალიმელი ამბობს: «ღვთის თაყვანის-ცემა გამოიხატება ერთის მხრით სარწმუნოების დოღმატების ნამდვილი შესწავლით და კეთილი საქმეებით. თორემ რა სასარგებლოა კარგად შეიგნო სწავლა ღმერთზე და სამარცხვინოდ კი იმრტუშო? მეორეს მხრით, რა სასარგებლოა ისე მოიქცე, როგორც რიგია, თავდაკავებულად იცხოვრო და ღმერთი კი ჰგმო?» წმიდა იოანე ოქროპირი თავის მეშვიდე საუბარში ებრაელთა ეპისტოლეს შესახებ სწერს: „დიდი და მაცხოვრებელი საქმეა სარწმუნოება; უიმისოდ ცხოვრება არ შეიძლება. მაგრამ მას თავის თავად არ შეუძლია მოგვანიჭოს ცხოვნება, აზისათვის კიდევ საჭიროა კეთილი და კანონიერი ცხოვრება“.

„როგორც ცეცხლს, იტყვის წმ. ტიხონი, შეფერის, რომ დაათბოს, წყალს შეფერის მორწყოს, ნათელს, რომ ანათოს, აგრეთვე ცხოველ სარწმუნოებას შეფერის თავი იჩინოს კეთილს საქმეებში“.

ამიტომაც «არც ერთი საქმის შესრულება არ შეიძლება სისრულით თვინიერ ქრისტესადმი სარწმუნოებისა», ამბობს წმ. ვსილი დიდი.

«გრწმენინ ღმრთისა და გრწმენინ ჩემდა მომართ (იოან. 14, 1), რამეთუ თვინიერ ჩემსა არა რა ძალგმისთ ყოფად არცა ერთი (15, 5)—აი სიტყვა ჭეშმარიტებისა, რომელიც გვამცნო ჩვენ უფალმა და რომელიც დარჩება საუკუნოდ. მხოლოდ ღვთის ძი-



სადმი სარწმუნოებთ ჩვენ შევიქნებით ჭეშმარიტი ძენი ეკკლესიისა, მხოლოდ მისი ღვთაებრივი მადლის შემწეობით, რომელიც გვეჩვენებს ჩვენ ეკკლესიის საიდუმლოებში, შეგვიძლია ვიდოდეთ უცოდველად ღვთის მცნებათა შორის. მოციქული პავლე პირველად იყო ებრაელი და მდევნელი ღვთის ეკკლესიისა, ხოლო როცა იწამა ქრისტე და მადლი ღვთისა შეეხო მის გულს, სრულიად გამოიცივალა, და მთლად შესწირა თავისი თავი ღვთისა და მოყვასთა სამსახურს. ნეტარი ავგუსტინი, ვიდრემდის კერპთაყვანის-მცემელი იყო, გართული იყო ცხოვრებაში და მუდამ თავის ხორციელ სამარცხვინო ვნებათა აღსრულებას ფიქრობდა, ხოლო როცა ნათელი ილა, მიატოვა თავისი პირველი ცხოვრება და თავისი თავი შესწირა ღვთისა და ეკკლესიის სამსახურს. როგორც მოციქული პავლე, ისე ნეტარი ავგუსტინი თავიანთი ცუდი ცხოვრების შეცვლას აწერენ არა თავიანთ თავს, არამედ ყოველად ძლიერ ძალასა ღვთისას: „ხოლო მადლითა ღვთისათა ვარა, იგი ვარ; და მადლი იგი მისი, რომელი ჩემდა მომართ იყო, არა ცუდად რა იყო“ (I კორინთელ. 15, 10) იგინი ძლიერ ცოტა მნიშვნელობას აძლევდენ თავიანთ უძლურებას და ცხოვრების საქმეში თავიანთი ძალის იმედი კი არა ჰქონდათ, არამედ დაიმედებულნი იყვნენ ღვთის მოწყალებასა და შემწეობაზე.

ამის შემდეგ ნუ თუ ბრმანი და საცოდავნი არ არიან ის ბრძენნი ამა საუკუნისა, რომელთაც სურთ დააფუძნონ ზნეობრივი ცხოვრება კაცთა, თვინიერ სარწმუნოებისა და რელიგიისა, მართო თავისი გონების შემწეობით. მათ არა სურთ შეიგნონ, რომ გარეშე ცხოველი სარწმუნოებისა ღვთისადმი არავითარი ჯეროვანი და მტკიცე საფუძველი არ არსებობს ჭეშმარიტი ზნეობრივი ცხოვრების დასამყარებლად.

მართლაც, თუ არ გვეჩვენა სარწმუნოება ღვთისადმი უსრულეს არსებისადმი, მაშინ რა გვაძლევს, რომ სრულ ვიყოთ? თუ არა გვწამს სიწმიდე კანონმდებლისა, ვინ იწამებს მის მიერ გამოცემულ კანონთა მნიშვნელობას, მის ვალდებულობას ყველასათვის? თუ არ წარმოვიდგინთ ყოველად მკოდნე არსებას, რა გვაძლევს ჩვენ, დავიცვათ ჩვენი გული სიწმიდით და ვიდოდეთ უბიწოდ? თუ არ გვეწამება ჩვენი გამომხსენელი, რომელმაც სულის წმი-

დის მადლით შეასრულა ჩვენი ცოდვებისაგან გამოხსნა, მაშინ საიღამ შევიკრებთ ძალას ვებრძოლოთ ჩვენი სხეულის ვნებათა და უკანონო მისწრაფებათა? ჩვენს ძმობას, ქველის საქმეებს და ქრისტიანულ სიყვარულს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, თუ ამავე დროს გვრწამს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელმაც თვისი სისხლით გარდაგვქმნა ჩვენ ახალ ქმნილებად, რათა მოვიმოქმედოთ საქმენი კეთილნი და მათ შორის ვიდოდეთ. თვინიერ ამ გვარი სარწმუნოებისა თვით მოწყალებას და ქველის მოქმედებათ არა აქვსთ ჭეშმარიტი მნიშვნელობა და ძალა. ტყუილად კი არ დაურქმევია ნეტარ ავგუსტინს კერპთაყვანის მცემელთა ქველის საქმეთათვის „ბრწყინვალე ბიწიერებანი“. თუმცა ერთის შეხედვით კერპთაყვანის მცემელთა ზოგიერთი საქმენი ქველის საქმეებად გვეჩვენებიან, მაგრამ ამ საქმეებიდან თვალსაჩინოდ იხედება ბრიყული თავმოყვარება. რომ უკეთ წარმოვიდგინოთ იმათი მდგომარეობა, რომელნიც მომხრენი არიან ზნეობისა თვინიერ სარწმუნოებისა, ყური მიუგდოთ დღევანდელ ზნეობის მასწავლებელთ, რომელნიც მოგვითხრობენ ერთ ღვგნდარულ მოთხრობას პრომეტეის შესახებ: პრომეტეიმ მოიტაცა ცეცხლი ცილამ და მისი ხმარება ასწავლა ხალხსო, მაგრამ ამით მან ვერ განაკარგა იგინი და კეთილ მსახურებას ვერ შეაჩვია. ამ დანაშაულისათვის ის მიჯაჭულია კლდეზე, და ქორი ჰკენკავს მის ღვიძლს, რომელიც არის მზგავსი კაცის გულისა, რომელსაც სჯამს თავის მოყვარება და ვნებანი.

მაგრამ გული, რომელიც გამთბარია ღვთაებრივი სიყვარულით და მასთან დაიმედებულია ღვთის მოწყალებაზე, თავისუფალია შეკრთომისა და შიშისაგან. მტკიცე სარწმუნოების მექანე პირთ და ჭეშმარიტების აღმსარებელთ პირის სახეზე აღბეჭდილი აქვსთ სიმშვიდე, იგინი ერიდებიან ქვეყნიურ დიდებას და ელტვიან ზეცურ სიმშვენსიერეს; ხოლო გონების მომხრეთ აღბეჭდილი აქვსთ სახეზე უკანყოფილება და მწუხარება, ჯავრი და სულის მოქანცულობა, „რამეთუ ფეხნი მათნი ბოროტისა ზედა რბიან და მისწრაფე არიან დანთხვედ სისხლისა“ (იგავი I, 16, ისაია 59, 7, 8. და ეს ყოველივე იმის გამოა, რომ „არა არს შიში ღვთისა წინაშე თვალთა მისთა“ (ფსალ. 35, 1.).

თუ რამდენად ფუქია ზნეობა თვინიერ სარ-



წმუნოებისა ღვთისადმი ამას შევეიერად გვიხატავს ერთი მაგალითი საფრანგეთისა, სადაც სკოლებისაგან, ეს ათი წელიწადია, აძევებენ საღმრთო სჯულს და სარწმუნოების სწავლას. და რას ვხედავთ ჩვენ? ამ ხნის განმავლობაში დამნაშაობათა რიცხვმა შესამჩნევად იმატა საფრანგეთში. განსაკუთრებით დამნაშავეთა შორის ორჯგულ მეტი 7—16 წლის ბავშვები არიან; და თუ მივიღებთ სახეში, რომ საფრანგეთში ამ წლის ბავშვები 7 მილიონს არ აღემატება, ხოლო დიდების რიფხვი 20 მილიონამდეა, მაშინ დავრწმუნდებით, რომ დამნაშავეთა შორის ექვსი წილი პატარა ბავშვებია.

აქვე უნდა ავღნიშნათ ისიც, რომ ერთი მეთვალყურის გამოკვლევით იმ ბავშვებში, რომელთაც საერო სასწავლებლებში უსწავლიათ, ერთი ათად მეტია დამნაშავეთა რიცხვი, ვინემ იმ ყმაწვილებში, რომელთაც საეკლესიო სკოლებში უსწავლიათ. პარიჟში ას ყმაწვილში, რომელნიც შეპყრობილ იქმნენ დამნაშაობისათვის, მხოლოდ ორი იყო ნასწავლი საეკლესიო სკოლაში.

ას ყმაწვილში, რომელნიც დაპატიმრებულ იქმნენ საპყრობილეში, 87 ნასწავლი იყო საერო სკოლებში და მხოლოდ 11 ყმაწვილი იყო ნასწავლი საეკლესიო სკოლებში. ეს ციფრები ცხადად გვიმტკიცებენ ჩვენ, თუ რას უნდა მოველოდეთ იმ აღზრდისაგან, რომელსაც სარჩულად არ უღდევს სარწმუნოება, და როგორი უნდა იქნეს ზნეობა ხალხისა, თვინიერ ღვთის სარწმუნოებისა. სარწმუნოებას და ზნეობას მოკლებული კაცი ემსახურება თავის კუჭს და ხორციელ ვნებათა, ხშირად ეძლევა უიმედობას და ამის გამო ხშირად თავის თავს ძალათი ასალმებს ქვეყნიურ ცხოვრებას. დასავლეთ ევროპაშიაც კი შეიგნეს კეთილ გონიერმა კაცებმა ამ ახალი მიმართულების დამღუპველობა და ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ საზოგადოებას თავიდან ააცდინონ მოსალოდნელი უბედურება. ამ შემთხვევაში სწორეთ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დასავლეთ-ევროპის ერთი სამსწავლებლო ოლქის დადგენილობა. აი ეს დად-

გენილობა: „იმას გამო, რომ მოზარდ თაობაში და მცირე წლოვნებში გაძლიერდა თავის მკვლევლობა, რომელიც წინელ ჩვენში ძვირი შემთხვევა იყო, ასე რომ ერთი წლის განმავლობაში 443 შემთხვევა იყო თავის მკვლევლობისა და იმის გამო, რომ უზნეობა და ბიწიერებანი ძლიერ გამრავლდა ბავშვებშიაც კი, ჩვენ საქვეყნოდ ვსდებთ ფიცს, რომ დღეიდგან აქაური ოლქის ყველა სკოლებში ზნეობის და სარწმუნოების სწავლას ყველაზე დიდი ყურადღება მიექცევა და ღვთისადმი მოვალეობის აღსრულებას კაცის სხვა მოვალეობათა შორის უმთავრესი ადგილი ეკავება“.

ეს ცხოვრების მიერ ნაჩვენები გაკვეთილი შეიძლება სასარგებლო შეიქნეს არა მარტო საფრანგეთისთვის. ურიგო არ იქნება, ჩვენც მივაქციოთ ამ გარემოებას ყურადღება, რომ მოვერიდოთ. ყოველივე ახალ ცვლილებათ დასავლეთ ევროპაში შემოღებულს და მტკიცედ დავადგეთ იმ გზას, რომელიც გვიჩვენა ჩვენ ღვთაებრივმა მწყემსთ-მთავარმა და რომლითაც ვიდოდნენ სარწმუნოების და ეკლესიის ბრძენნი და ღვაწლით შემოსილნი მამანი. ეს გზა არის გზა სიმშვიდისა და მორჩილებისა, თავის განწირულებისა და მოთმინებისა, მიტევებისა და სიყვარულისა, სრული თავის შეწირვა ღვთის ნებისათვის, უსაცილოდ დამორჩილება ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის დედის წინაშე. ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ეკლესიის გალავანში და ეკლესიის ხელმძღვანელობით შეიძლება აღიზარდნენ მტკიცე სარწმუნოების და ჭეშმარიტი ქრისტიანობრივი ცხოვრების მექანე პირნი, მოაწმუნე შვილნი ეკლესიისა და თავდადებულნი მცველი მამულისა („პასტ. სობ.“)





გარკვნიობით კეთილ-მსახურების დაცემის მი-
სეზი ჩვენ ხალხში და მისი აღსადგენი სა-
მუალებები.

გაგრძელება *.

1). მწყემსის ნათელი პიროვნება, გულ-მხურ-
ვალედ აღსრულება მის მიერ თვის მაღალი სამსა-
ხურისა, მისი კეთილ ზნეობა და მართებული ყოფა-
ქცევა. თუ მოძღვარი მთელის თვის არსებით დაკავ-
შირებულია ღმერთთან, მუდამ მის სახელის დიდე-
ბაშია, აღნთებულია კეთილ-შობილ მისწრაფებითა,
უყვარს ეკლესია, წირვა-ლოცვა და ყოველივე ეკ-
ლესიური, დაახლოვებულია ხალხთან, მის საჭი-
როებას თვის საჭიროებად სთვლის, მაცადინობს მის
წინ მსვლელობაზე, მისი მონაწილეა ქირში და
ლხინში, შეძლებისადაგვარად ეწევა მას ნივთიერად,
— მაშინ ის მიიზიდავს ხალხს თვისადმი და თან შე-
აყვარებს მას ეკლესიას, დააჩვენებს მას შინაგან რე-
ლიგიურ მდგომარეობათა შესაფერ გარეგან მოქმე-
დებებით გამოხატვასა. ასეთი ღირსეული მწყემსები
რო გაშრავდნენ ხალხში საჭიროა, რომ იმ დაწე-
სებულებაში, რომელიც მღვდლობის კანდიდატებს
უშვებს, საქმე ისე იქნეს დაყენებული, რომ მისგან
მართლა და კეთილი მწყემსები გამოდიოდნენ. სასუ-
ლიერო სემინარიის მოსწავლეებს, თუ მდებალ კლას-
ებში არა, მაღალ კლასებში კი უსათუოდ, გათვა-
ლისწინებული უნდა ქონდესთ თვისი დანიშნულება,
მათ თვალ წინ უნდა ედგასთ მომავალი სამსახური—
მღვდლობა და ამ საგანს უნდა მიმართონ თვისი
აზრები, გრძნობები, სურვილები და თვისი ძალნი,
ისინი უნდა ცდილობდნენ საკმაოდ მოემზადონ ამ
ასპარეზისათვის, შეითვისონ ის ცოდნანი, რომლე-
ბაც მწყემსობის თანამდებობას პირდაპირ შეეხებიან,
შეიძინონ ის ცოდნანი, რომლებიც მათ ხელს შე-
უწყობს და გაუადვილებს სამსახურსა. მათ უნდა
აღაღორძინონ თვის სულში სარწმუნოება, აღაგზნონ
სიყვარული ღვთისადმი და მოყვანისადმი, აღაფრთო-
ვანონ თვისი არსება მაღალ და ნათელ მიდრეკილე-
ბებით და ლტოლივობებით, განათავიზონ თვისი
ხასიათი, განაკეთილ-შობილონ თვისი ყოფა-ქცევა;

მათ უნდა შეიყვარონ ეკლესია და მისი წესები.
ასეთი მიმართულება უნდა იქნეს სასულიერო სას-
წავლებლებში. არა სასულიერო, არა ეკლესიური
მიმართულება მოწაფეებში უნდა იქნეს დევნულ.
ყმაწვილები, გატაცებულნი სარწმუნოების და ქრის-
ტიანობის საწინააღმდეგო აზრებითა, თუ მათზე
არავითარი შეგონება, რჩევა-დარიგება არ გადის,
უნდა განიძეონ სასწავლებლიდამ. ესეთი მოქცევა
არ იქნება სასტიკი და უსამართლო. განა უსამართ-
ლოება იქნება, რომ მაგ. საბალოსნო შკოლაში
მოსწავლე უნებდეს იმ პრაქტიკულ საგნება, რომ-
ლებსაც მას ასწავლიან, არ თვლიდეს მას საჭიროდ,
არ სწავლობდეს მათ, და ეს ვაჟბატონი გამოაბრძა-
ნონ? სწორედ ესევე უნდა ითქვას სასულიერო სას-
წავლებლის შეგირდზედაც, არა სასულიერო მიმარ-
თულებიანაზე. სასულიერო სემინარია არის სპეცია-
ლური დაწესებულება, მას მიზნად აქვს აღზარდოს
მღვდლობის კანდიდატები, და ამიტომ უნდა მართ-
ლადა სამღვდლო ადამიანები უნდა სწავლობდნენ.
ვისაც მღვდლობა არ სურს, ეკლესია და ყოველივე
ეკლესიური ეჯავრება, მის ბრაზობას და შუთავას
არ ურჩენია მოშორდეს იმ ადგილს, რომელიც მას
გულს უხუთავს და აშმაგებს, და მონახოს ისეთი
ადგილი, სადაც იგი სულით მოისვენებს და განიხა-
რებს? იტყვიან, არის მაგალითები, რომ ის პირები,
რომლებიც სკოლის სკამზედ ლიბერალობდნენ, ცხოვ-
რებაში კარგი მოქმედი კაცები რჩებიან და პატი-
ოსანი მღვდლებიც გამოდიანო. თანახმა ვართ ამაზე,
ასედაც ხდება, მაგრამ მაინც ერთი და ორი მაგა-
ლითი უფლებას არ გვაძლევს სასულიერო სკოლე-
ბის მოსწავლეები თვის ნებაზე აუშვათ, ნება მივსცეთ
მათ შეითვისონ სხვა-და-სხვა დამღუპველი მოძღვრე-
ბანი და გმონ ყოველივე ღვთიური და ეკლესიური.
სასულიერო სასწავლებლებში რო გაუშვათ სარწმუ-
ნოების ანუ ეკლესიურ წესწყობილებათა უარყოფ-
ვლი მოსწავლეები, თუ გინდ ორიოდც, მაშინ
მოსწავლეთა მომეტებულ ნაწილს მომავალ დანიშ-
ნულებაზე გული აყურება, და იგი სასულიერო საგ-
ნების შესწავლაზე ხელს აიღებს. ხოლო რას ემსგა-
ვსება ეს მოვლენა? განა შეიძლება ამის მოთმენა? ეს
ხომ საზოგადოების მოტყუება იქნება! სემინარია
მღვდლობის კანდიდატებს ამზადებს, და მისგან რო-
გორი ადამიანები გამოდიან?! აქ უნდა შევნიშნოთ
კიდევ ისა, რომ მოსწავლეებში ეკლესიური მიმარ-

*) იხილეთ „მწყემსი“ № 2, 1898 წ.

თულების გამტკიცებისათვის საჭიროა აღმზრდელები მოწაფეებს მამა-შვილურად ექცეოდნენ, აწოდებდნენ მათ ყოველივე იმას, რაც მათ ეკლესიისადმი სიყვარულს განუტხოველებს, და არიდებდნენ მას, რაც მათ განარისხებს და სარწმუნოებაზე და ეკლესიაზე გულის შეუცვლის.

2) განშენება საზოგადო ღვთის-მსახურებისა და იმ ადგილისა, სადაც იგი სრულდება. — ყველასათვის ცხადია შემდეგი მოვლენა, რომ ჩვენი სულის ძალნი და მდგომარეობანი მით უფრო ნათლდებიან, ცხოველდებიან და მტკიცდებიან, რამდენადაც უფრო ძლიერი და გამშენებულია მათი გარეგან ცხადყოფა. მაგ. ესტესტიკური გრძნობა მით უფრო აღგვენთების, რამდენად უფრო შევნიერ სურათს ბუნებისას ანუ კაცის მიერ შექმნილსა ვსჭვრეტთ, ანუ რამდენად უფრო კარგად ასრულებულ სიმღერას ვისმენთ. ესევე უნდა ითქვას რელიგიურ გრძნობაზე; კაცი მით უფრო გულთბილად ილოცავს, რამდენად უფრო კარგად იქნება ასრულებული ღვთის-მსახურება.

კაჭახიძე.



ჩემს შვენიერ შთაბეჭდილებას შენც გაგიზიარებ, მკითხველო!

ფილისში ვარ. კვ რა დღე არის, დილის ცხრა საათია. წირვაზე წასვლას ვუპირები და ვფაქრობ, თუ რომელ ეკლესიაზე წავიდე. გავიბე რომ ამ დღეს სიონის ტაძარში სწირავს ექსარქოსი და მასთან ერთად ეოვლად სამღვდლო ღვთისმცოდნე. გავსწიე სიონში, მივედი თუ არა, რეკაც გათავდა. წირვას ემზადება მარტო ერთად-ერთი დეკანოზი მამა ესტატე ელიევი. მეღვთისმცოდნეებან შევიტყვე, რომ ეოვლად სამღვდლო ღვთისმცოდნე მწირველია ანჩისხატის ეკლესიაში. ტაძრის კარებთან გამოვედი და ვეკითხები ტაძრის ერთ მოსამსახურეს, წაბრძან-

და ეოვლად სამღვდლო ღვთისმცოდნე სწირავდა თუ არა? — აი ეს არის ესლა წავიდა მათი მეუფება ქვეითად და გზაში მიეწვეით კიდევ, თუ გაუჩქარებთ. გაუჩქარე ფეხს და სინოდალნი კანტორის ახლოს დავუწიე ეოვლად სამღვდლოს ქვეითად მიმავალს ჯოხით ჩვენებურად, ძველებურად, წენარად თავისი მხლებელით და ერთი თანამწირველი მღვდლით. ლოცვა კურთხევის მიღების შემდეგ მეც ვეახლე მათ მეუფებას და მივდივართ ანჩის-ხატისკენ. აი კიდევ მივედით. ტაძრის კარებთან მღვდელ-მთავარს შემოვეკებენ თანამწირველი მღვდლები: წინამძღვარი ტაძრისა მამა მ. კარბულაშვილი შემოსილი და ჯვრით, მამა გ. ასათიანი, მამა სიმონ რცხილაძე და ერთიც კიდევ სხვა უცნობი მღვდელი. საახსაურო სკოლის მგალობელთა გუნდი იწეებს შევნიერი ხმით «ღირსი ანჩისი»-ს გალობას მღვდელთ-მთავარი შემბრნდება ტაძარში და ლოცვა იწეება ხატების წინ. შემდეგ მღვდელთ-მთავარი შემბრნდა კათედრაზე და იწეეს ბემოსვა მღვდელ-მთავრის ეკლესიაში. ხოლო მღვდლების საკურთხეველში. გათავდა შემოსვა. როცა მღვდელ-მთავარს მისცეს ჩვეულებრივი სანთლები, მთავარ-დიაკონმა დაიწყო: «ესრედ ბრწვინევი ნათელი შენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი შენი და აღიდებდენ სახელსა შენსა». დაიწყო ჟამნი. ჟამნობის შემდეგ დაიწყო წირვა. წირვა სრულდება ქართუდად, ქართული გალობით. მგალობელთა გუნდი გალობს «უფალო შევიწყალო»-ს სხვა-და-სხვა ნაირად, რომელი გალობაც მსმენელთა გულსა და სულს ატკობს. გამოსავენეს სახარება და «სიბრძნით აღებმართიენის» შემდეგ სამღვდლოთა კრებულმა იწეო



„მოვედით თაყვანის ვსცეთ“ ისეთი შვენეირის და ტკბილის ხმით, რომ არც ერთი გალობის მოსმენას ისე ჩვენი გული არ შეუძრავს, როგორც გაგვინაც ხსენებულმა გალობამ ჩვენზე იქონია. როცა ტრანჰეზში სამღვდელთა კრებულმა „წმიდაო დიქროთა“ - ს გალობა გაათავა და შემდეგ სამმა პატარა მკალობელმა „ისპოლლა ეტის“ გალობა იწვეეს, სწორეთ იმ აღტაცებაში მოვედით, რაც ინგლისში ერთ განათლებულ ზანგს მოუვიდა, როცა იგი თავის სამშობლოში დაბრუნდა და თავისიანების გალობა მოისმინა. თუ რა შეემთხვა ამ ზანგს, ამას აქვე მოუთხრობთ მკითხველს. ერთ დროს ინგლისელებმა აფრიკის ერთ ადგილას ადგილობრივი მკვიდრნი დამარცხეს და სრულიად დაიმორჩილეს. ერთი ამ ველურ ახალგაზდა კაცთაგანი ტყვეთ წაიყვანეს ინგლისში, სადაც მას მკასწავლეს ყოველ გვარში მეცნიერება ეს კაცი თავისი მეცნიერებით და სწავლით თითქმის ინგლისელ განათლებულებსაც სჯობდა. მან მალე გაითქვა სახელი, და ერთი დიდებული ოჯახიდან შეერთა ქალი და სცხოვრებდა ევროპაში ევროპულად. დიდი ხნის შემდეგ ეს კაცი თავისი მეუღლით გაემკზავრა თავის სამშობლო ქვეყანაში სამოგზავროდ. როცა თავის ქვეყანაში მივიდა და თავისიანები ნახა, უკვირდა მათი უმეცრება და თან სწუხდა, ერთ დროს ამ ველურ ხალხს რაღაც დღესასწაულობა ჰქონდა, სადაც ყველანი თავისებურად გალობდენ და იმღეროდენ. ეს ევროპაში განათლებული კაციც დაესწრო ამ დღესასწაულს. იგი ჯერ მორიდან უცქეროდა თავის მოძმეთა შექცევას, გალობას და თამაშს, ბოლოს კი ისეთ აღტაცებაში მოვიდა, რომ თავისი ცოლი მიატოვა, შეერია ამ ველურ ხალხში და მათთან ერთად იწყო

დროების ტარება და თამაში. განათლებულა მეუღლე გამტკრებით შესცქეროდა თავის ქმრის საქციელს და არ აცოდა, რა ექნა.

ახნისხატის ტამარში ქართულმა შვენეირმა გალობამ და მღვდელთ-მოხარის განწეობილმა წირვამ უნებლიეთ მომაგონა შემოთაღნიძნული ზანგის საქციელი. არ იფიქროთ, მკითხველო, რომ ჩვენ ვითომ უკეთესი გალობა არ მოგვესმინოს, არა ერთ გზის დავსწრებივართ რუსეთის შესანიძნავ ტამარებში მღვდელ-მოხარების წირვა-ლოცვას, სადაც თვითონ სელმწიფის კანკლას უგალობნია და სხვა და სხვა შესანიძნავ მკალობელთა გუნდების გალობაც მოგვისმენია. დარწმუნდი. მკითხველო, რომ შემოთაღნიძნულ მკალობელთა ხმებს რომ შეადარო ბბ. სიღმანძის და გ. ზალიკანოვის შვენეირი და ტკბილი გალობა, დიდ განსხვავებას შენიძნავთ. შეიძლება ამ უკანასკნელ პირთა გალობა სხვა თემის ხალხს გულს უწუხებდეს, მაგრამ ქართველ კაცის გულს კი ატკობს. ასეთია ბუნების კანონი და რას იზამ! სრულებით განსაკვირი არ არის, რომ ქართველს ქართული გალობა მოსწონდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქართული წირვა-გალობა ერთმანეთზე რიკანად არის შეთანხმებული. ზოგიერთ ადგილას, მართლა, წირვა-ლოცვა და გალობა ისეთი შეუთანხმებელი და შეუგნებელია, რომ თვითონ ქართველის ყურთა-სმენასაც აწუხებს და სხვა თემის ხალხს რაღაც კეთილ შთაბეჭდილებას მოასდენს ამითანა გალობა.

წირვის გათავების შემდეგ მათი მეუფება გამობრძანდა ამბიონზე და მიიქცა ძლოცველთადმი მოკლე მაგრამ მეტის მეტად გრძობი-

რე სიტუაციით. სიტუაციის შინაარსი ამოღებულ იყო იმ დღეს წირვასზე წაკითხული სახარებისაგან იესოს მიერ ბრძმის თვალის ასილვის შესახებ. მათმა მეუფებამ ცხადათ დაასურათა ბრძმათა საბრალლო მდგომარეობა და ის სწოება და იმედი ღმერთსე, რომელაც ამ საბრალლოთა აქვსთ. მათმა მეუფებამ აუხსნა მლოცველთ, რომ ასეთი საბრალლო ბრძმები მარტო იესო ქრისტეს დროს კი არ ყოფილან, არამედ ივინი დღესაც ბევრნი არიან ჩვენ შორის. მლოცველთ ტამარძივე მიუთითა ასეთ საბრალლო ზირეისე, რომელნიც მკალთბულთა კუნდში იდგნენ და კალობდენ და შეაბრალა ივინი საზოგადოებას. ამ დღეს ტამარი, თითქმის, სულ გატენილი იყო მლოცველებით, რომელთა გულწრფელ ლოცვა-ვედრებას რომ ვუცქეროდი, სიხარულით მეცხებოდა გული.

ხსენებული ტამრის შინაური მოთულობა მდიდრულია არ არის, მაგრამ ეს არც კასაკვირველია, ვინაიდან საქართველოს ეკლესიებს ჩვეულებათ არ ჰქონებიათ შინაური მდიდრული მოთულობა.

სამწუხაროა, რომ ტამრის სვეტები, რომლებზედაც წმიდა მოწამეები უნდა ივენენ და ხატულნი, სავსენი არიან სხვა და სხვა წარწერებით ტამრებში დასაფლავებულ ზირთა ვინაობის შესახებ. იმედია, რომ ხსენებული ტამრის ახალი წინამძღვარი ყოველივე ზომას მიიღებს, რომ ანჩისხატის ტამარმა უწინდებულად მნიშვნელობა დაიკაოს თბილისის მართლმადიდებელ ტამართა შორის.

ჟგ. ღ. ღამბაშიძე.



ახალი ამბები და შენიშვნები.

იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დებუტატების კრება მოხდება ქ. ქუთაისში მარტის თვის 16, 17 და 18 რიცხვებში. იმედია, ამ დროს სასწავლებლების სამმართველოებს და საბჭოებს ჯეროვანი ანგარიშები მზად ექნებათ...

წარსულ წელში გამოსული ჯამაგირი სამღვდლოებაზე მცირეს ხანში იქნება დარიგებული სინოდალნი კანტორისაგან. ამა წლის ჯამაგირების კრედიტი უკვე გაიხსნა და შეუძლიათ ყოველ თვის ბოლოს მიიღონ.

ტფილისის გუბერნატორი ბიკოვი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დათხოვნილ იქნა თანამდებობიდან; კავკასიის სამკურნალო ნაწილის მმართველს მკურნალი გლავაცკო თავისისავე თხოვნის თანახმად და ავადმყოფობისა გამო დათხოვნილ იქნა სამსახურიდან.

იმერეთის საეპარქიო საეკლესიო ნივთების საწყობში მზად არის მორჩილი ტანის შვენიერად გაწყობილი სახარებანი.

ოთხი და სამნახევრიანი გოჯის ხატები, რომელნიც ორ-ორ შაურათ იყიდებიან და მიიქვთ ეკლესიის კრებულთ საწყობიდან ქუთაისში, შეუძლიათ ყველას შორაპნის მაზრაში მიიღონ ყვირილაში საწყობის მმართველის დეკ. დავით ღამბაშიძისაგან.

24 თებერვალს ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწადეები, მაღალ-ყოვლად უსამღვდლოესის საქართველოს ექსარქოსის ფლაბიანეს ლოცვაკურთხევით, გაემგზავრენ შიომღვიმელის მონასტერში. მოწადეებს თან გაჰყვნენ რექტორი და ინსპექტორი სემინარიისა, მასწავლებლები ბბ. ი. ა. კლიონოვი და ილ. ფერაძე. აღმზრდელები ბ-ნნი რევენსკი და დობროგავი. იმავე დღეს საღამოს შესრულებულ იქნა მწუხრი და ცისკარი... მეორე დღეს 25 თებერვალს სწირა ყოვლად სამღვდლო ლეონიდმა რექტორის და ინსპექტორის და სხვათა თანამწირველობით... მოწადეებს ყოვლად სამღვდლო ლეონიდემ გააცნო შესანიშნავი ნაშთები მონასტრისა... მოკლე პარაკლისი ღირსი შიოს კუბოსთან

გარდახდილ იქმნა ყოვლად სამღვდელო ლეონიდის, რექტორის და ინსპექტორის მიერ. პარაკლისზე მოწაფეები ქაროულად ჰვალობდნენ. პარაკლისის შესრულების შემდეგ ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა მიჰმართა მოწაფეებს გრძნობით აღსავსე სიტყვით, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზედ. საზოგადოდ ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა დიდის აღტაცებით, თანაგრძნობით და სტუმართ-მოყვარეობით მიიღო მონასტრის ზღუდეთა შორის სასულიერო სემინარიის მოწაფეები, რომელნიც თვის მთავრობის დიდად მადლიერნი არიან, რომ შეძლება მისცა მათ ენახათ და გაეცნოთ საქართველოს დიდებულ წარსულის ერთი უმესანიშნავეს ნაშთთან ღირსი მამის შიოს მონასტერი. საღამოს ათ საათზედ მოწაფეები უფროსებთან ერთად დაბრუნდნენ ქ. ტფილისს. «ც. ფ.»



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ხსენებაზე.

მონასტრის ანუ ცოდვების აღსარება



ღეს სწორეთ კეთილ სასიამოვნო დროა, ღღეს არის დროს ცხოვნებისა—მარხვისა, ვედრებისა და სინანულისა და ამიტომ მე მსურს ორიოდე სიტყვა გითხრათ თქვენ, მართლმადიდებელნი ქრისტიანენო!

სინანუდა, როგორც საშუალება ცოდვებისაგან გაწმედისა და ღმერთთან შერიგებისა, საჭირო შეიქმნა იმ წამიდან, როცა ადამ და ევამ შეცოდეს სამოთხეში. ხმა ღვთისა აღამისადმი—„სადა ხარ შენ“, ევასადმი—„ეს რა ჰქენი შენ“, კაინისადმი—„სადაა ძმა შენი“, იყო ხმა, რომელიც იწვევდა ცოდვილთ, რათა მათ მოე-

ნანებიათ თავიანთი შეცდომანი. შემდეგ დროებშიაც ებრაელთა ხალხი მომავალი მხსნელისადმი სარწმუნოებით, მსხვერპლის შეწირვით და ლოცვა-ვედრებით ინანებდა თავის ცოდვებს, რის შემდეგ იგი იღებდა შეწყალებას ღვთისაგან; ღმერთმა წარმართთაც კი მისცა სინანული, რომელიც იფარავდა მათ სრული დაღუპვისაგან.

ვინ არ იცის სინანული მეფე დავითისა და მანასიის, სინანული ნინეველთა, აღვლენილი ღვთისადმი? ვინ არ უწყის, რომ ებრაელები, როცა მათ განაგებდნენ მსაჯულნი, ყოველთვის, როცა თავის დამნაშაობას შეიგნებდნენ ღვთის წინაშე, და ღმერთს შესთხოვდნენ შევლას და ცოდვათა მიტევებას, ღვთისგან იღებდნენ შეწყალებას და დახმარებას მტერთა წინააღმდეგ? ღვთაებრივი გამომხსნელის ქვეყნად მოსვლის წინად, წინამორბედი მაცხოვრისა ჰქადაგებდა სინანულს და ზეციური სასუფეველის მოახლოვებას, იგი იღებდა ცოდვათა აღსარებას და ნათელსა სცემდა იორდანესა შინა. მაგრამ ეს სინანული, თავისი ძალით, სულ სხვა იყო, ვინემ ჩვენი ქრისტიანობრივი სინანული, დადგენილი თვით იესო ქრისტეს მიერ. არაფერს არ ვიტყვი იმ სინანულზე, რომელიც არსებობდა იოანემდე, თვით იოანეს მიერ ნათელდება ანიჭებდა განათლულთ ცოდვათა მიტევებას იმისდა მიხედვით, თუ რამდენად აქნდა მათ სარწმუნოება მომავალი აღთქმული მესიისადმი. იგივე სინანული, რომელსაც წინადავიდებს ჩვენც წმ. ეკლესია, როგორც ღვთის მიერ დადგენილს, არის საიდუმლო, რომელშიაც მორწმუნე ზეპირად აღიარებს რა თვის ცოდვათა მღვდლის წინაშე და მიიღებს რა მისგან ხილულად მიტევებას ცოდვათა, უხილავად—საიდუმლოდ იღებს ცოდვათა მიტევებას თვით იესო ქრისტესაგან. როცა ჩვენ აღვიარებთ ცოდვებს მოძღვრის წინაშე, ქრისტე იქვე უხილავად სდგას და იღებს ჩვენს აღსარებას. რა მოწყალებაა, და რამდენათ ახლოსა დგას ჩვენთან! მხოლოდ უნდა გვესმოდეს და ვაუთახებდეთ ამ ღვთაებრივ ქველისმოქმედებას.

სინანულის, ანუ როგორც ჩვენ ვუწოდებთ, აღსარების ასეთი მაღალი და საიდუმლოობრივი მნიშვნელობა ცხადათ გვიჩვენებს, თუ რამდენათ საჭიროა ჯეროვანი და შეგნებული მომზადება აღსარებისათვის, ხოლო მეორეს მხრით გვიჩვენებს იმას, თუ რა სასტიკ პასუხის გებაში ვარდება ის, რომელიც უყურადღებოდ და დაუდევნელად ეკიდება აღსარების საქმეს.



წმ. ეკკლესია, რომელიც დედასავით ზრუნავს ჩვენთვის და ჩვენი ცხოვრებისათვის, საიმედო და გამოცდილ საშუალებას გვაწვდის, რათა ჯეროვანად მოვემზადოთ საიდუმლო სინანულისათვის. იგი გვიდგენს ჩვენ მარხვას, რომელიც მდგომარეობს არა მარტო ზოგიერთ საქმელების ზომიერად მიღებაში, არამედ ვნებათა დაცხრომასა, სულის კეთილ განწყობასა, მიტევებასა. მოწყალებასა და გამუდმებულ ლოცვა-ვედრებაში, როგორც სახლში, ისე ტაძარში და ამავე დროს ჩვენ ერთგულად უნდა ვკითხულობდეთ ღვთის სიტყვას. მრავალჯამიერი ქეშმარიტი ქრისტიანობრივი ცხოვრების გამოცდილებით შეტყობილია, რომ ეს ზემოთ დასაწვდებულნი საშუალებანი შევლიან ცოდვილ კაცს, რათა მან მოინანოს თავისი ცოდვები და მიიღოს ღვთისგან მიტევება. ბევრისგან ისმის საჩივრები ამ საშუალებათა აღსრულების სიძნელეზე; მაგრამ ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ავადმყოფი უმეტესად უჩივის სიმწარეს და უსიამოვნო გემოს იმ წამალს, რომელიც უებარი მოსახდენია მისთვის. აგრეთვე შეიძლება საძნელოდ ეჩვენოს მარხვა, ლოცვა და ღვთის სიტყვის კითხვა იმ კაცს, რომელიც გაფანტულს და თავდაუქერელ ცხოვრებას ეტანება; მაგრამ მარხვა, ლოცვა და ღვთის სიტყვის კითხვა ნამდვილი თანამგზავრნი არიან იმ სულიერი განწყობლებისა, რომლითაც ყოველი ქრისტიანი კაცი უნდა შეუდგეს საიდუმლო სინანულს.

როცა ამ სახით მოვემზადებით აღსარებისათვის, როცა განვიმტკიცებთ სარწმუნოებას ქრისტიანადმი და როცა დავრწმუნდებით უფლის მოწყალებაში, როცა შევიგნებთ ჩვენს დამნაშაობას ღვთის წინაშე და მასთან ვიწყებთ ცოდვების მონანებას და მტკიცედ გადავსწყვეტთ, რომ ჩვენს ცხოვრებას გაავაუმჯობესებთ, მხოლოდ მაშინ უნდა მივუახლოვდეთ საიდუმლოს. მაგრამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს: უწინარეს ყოვლისა ის, რომ ჩვენი აღსარება მიიღება და მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენი სულისათვის მაცხოვრებელი, როცა ჩვენ მოვინანებთ ყველა ჩვენ ცოდვებს კეთილ სინიღისიერად, შემუსვრილი გულით, ე. ი. ვიტყვიტ ჩვენს ცოდვებს მოძღვრის წინაშე დაუფარავად, გულ-ახდილად და მასთან მტკიცედ გადავსწყვეტთ, რომ შემდგომი ვებძოლოთ ჩვენს ცოდვებზე, როგორც წინააღმდეგს და საძულველს.

„ის კი არ აღიარებს თავის ცოდვებს“, ამბობს წმ. ვასილი დიდი, «ვინც თქვა»: «მე ვსცოდებ», და მერე ისევ რჩება ცოდვაში, არამედ, ის, ვინც, ფსალმუნთა მგალობელის სიტყვით, იხილა ცოდვათვისი და შეიძულა იგი». რა სარგებლობას მოუტანს ავადმყოფს ექიმის მზურნკელობა, როცა სწეული მტკიცედ ასრულებს მას, რაც მის ჯანმრთელობას ავნებს და არღვევს? რა სასარგებლოა იარას გაჭრა, თუ მას უებარ პლასტიკის არ დავადებთ? აგრეთვე არავითარი სასარგებლო არ არის მიტევება ცოდვათა, თუ კიდევ უფრო ბევრ ცოდვებს და უსამართლოებას ჩავიდნებთ და არ უკუ-ვაგდებთ ჩვენ გარყვნილ ცხოვრებას. ღმერთს სურს, რომ ცოდვილმა კაცმა თავისი ცოდვები აღსარების შემდეგ მიატევოს თავისი წარსული ცხოვრება, შემდგომში აღარ გაიმეოროს თავისი ცოდვები და მტკიცედ დაადგეს კეთილ გზას

ცოდვების აღსარების დროს არ კმარა ცოდვების ჩამოთვლა, როგორც ამას ხშირად ჩავდივართ ხოლმე, ვინაიდან უფალმა უჩვენოდაც უწყის ჩვენი ცოდვები, მაგრამ უფალს სურს, შევიგნოთ ჩვენი ცოდვები, თვით ჩვენვე უჩვენოთ იგინი და სულიერი მამის წინაშე ვცდილობდეთ, ასე ვთქვათ, ამოანთქიოთ ჩვენი ცოდვები ჩვენი სულისაგან. ცოდვები უბრალო ბარგი როდია, რომელიც შეიძლება გადავადლოთ ანუ სხვას ჩავაბაროთ; არა, ცოდვილი გული ტყეში ატეხილი ბალახია, რომელიც უნდა წმინდო და წმინდო, რომ ხეებს ზრდა არ მოუშალოს; იგია მინდორი, დაფარული ნაგვიანი ბალახებით, რომელნიც ფესვიანად უნდა ამოაგდოს, რომ ნათესმა კარგი მოსავალი მოგვეცეს. შემდეგ, აღსარების დროს საკმაო არ არის მოკლე პასუხი მივისცეთ სულიერ მოძღვარს „ღიახ, ცოდვილი ვარ, მამაო, ცოდვილი“, არა, საჭიროა, რომ ჩვენ თვითონ ვადვიაროთ ჩვენი ცოდვები დაუფარავად. ნუ თუ ავადმყოფმა, რომელიც ექიმთან მიდის, თავის თავად არ უნდა უთხრას ექიმს, თუ სად და ან რა ტკივა მას? სად შეუძლია მოძღვარს, რომ თითოეულ აღმსარებელს გამოკითხოს მისი ცოდვები, როცა ხშირად აღმსარებელთა რიცხვი ფრიად დიდია. თუ სააღსარებოდ მიუდივართ მოძღვართან, ჩვენი ცოდვებიც უნდა მოვიგონოთ, ვინც გრძნობს, როგორ და რით შეცოდა უფლის წინაშე, იგი უსათუოდ მოიგონებს თავის ცოდვებს და უნაკლუ-

ლოდ აღიარებს მოძღვრის წინაშე. ბოლოს, სრულებით არ უნდა გვრცხვენოდეს და გვეხატებოდეს მოძღვრის. იგი გარეშე კაცი როდია, იგი არის ჩვენი სულიერი მამა, ისიც ისეთივე ცოდვილია ღვთის წინაშე, როგორც ჩვენ, იგი არის აღმსრულებელი საიდუმლოთა, მხოლოდ მოწამე ჩვენი აღსარებისა, და ჩვენ საიდუმლოთა, რომელისაც ჩვენ სხვებისაგან ვფარავთ, მაგრამ მოძღვარს კი ვეუბნებით, რადგან ვიცით, რომ მოძღვარი ამ ჩვენ ცოდვებს და საიდუმლოებს არავის არ ეტყვის, თვითონ იგი შიშით და კეთილ კრძალულობით უნდა ასრულებდეს თავის საქმეს ვინაიდან დიდად პასუხის მგებელია იმის წინაშე, რომელიც უხილავად დგას მოძღვართან აღსარების დროს და იღებს ჩვენ აღსარებას. ვისი უნდა გვეშინოდეს, ანუ რისი უნდა გვრცხვენოდეს? მხოლოდ უნდა გვეშინოდეს, რომ ჩვენი ცოდვებით არ გავაჯავროთ უფალი, უნდა გვრცხვენოდეს ჩვენი ნების სისუსტისა და ცოდვიანობისა და ჩვენი აღთქმის აღუსრულებლობისა. ეს შიში, ეს სირცხვილი სასარგებლონი არიან ჩვენი სულისათვის. და რა სასარგებლოა ჩვენთვის, რომ მოძღვარს ცოდვები დაუმლოთ? განა მიტყევა მარტო მოძღვრისაგან ვიღებთ? არა, უფალმა იესო ქრისტემ, რომელიც უხილავად იღებს ჩვენს აღსარებას, იცის ყველა ჩვენი ცოდვები. რაი მერე? მოძღვრის წინაშე ჩვენ გამოვჩნდებით უცოდველი, მართალი, მაგრამ ღვთის წინაშე ცოდვიანი ვიქნებით, ღირსი განსჯისა სასტიკად ცოდვებს ის, რომელიც აღსარების დროს ფარავს თავის ცოდვებს. თუ ცოდვად ჩაითვლება ის, როცა უბრალო კაცის წინაშე ვცრუობთ, დიდი უაზრობაა მოვატყუოთ ყოველად მცოდნე ღმერთი, სიცრუო ჩავიდინოთ მის წინაშე. ამ სახით ძველ ცოდვებს უმატებთ ახალ ცოდვებს—თავმოყვარების და შემცდარ სირცხვილს, რომელთა წყალობით მოძღვრის წინაშე ვფარავთ ჩვენს ცოდვებს. აღსარების დროს სხვა ნაკლულევიანებასაც ვიჩენთ, ვინაიდან სავსებით არ გვესმის აღსარების მნიშვნელობა და რადგან არ გვესმის, ვერც ჯეროვანად ვემზადებით აღსარებისათვის. ზოგიერთნი გულუბრყვილოდ ეკითხებიან მოძღვარს— „რა ცოდვები უნდა მქონდეს მე?“ არავითარი ცოდვები მე არ მაქვს. «ბევრი ამასაც ამბობს:» «გარდა ყოველ დღიური, ჩვეულებრივი ცოდვებისა, სხვა არავითარი ცოდვა არა მაქვს», მაგრამ ასეთი პირნი ძლიერ სტყუვდებიან თავიანთი

სინამთლით და აღარ ახსოვთ, რომ თვით მართალი კაციც კი, როგორც გვიბრძანებს სიტყვა ღვთისა, შეიდ გზის ცოდვებს დღეში, მაშ რაღა უნდა ვთქვათ ისეთ კაცზე, რომელსაც აქვს სუსტი ხასიათი და მიღრეკილი ცოდვებისადმი. სტყუვდებიან ისინიც, რომელნიც მოძღვარს ეუბნებიან, რომ მათ მცირე რამ ცოდვები აქვსთ. რაც უნდა მცირე იყოს ცოდვა, იგი მაინც დიდია ღვთის წინაშე, ვინაიდან ყოველივე ცოდვა, მცირეა იგი თუ დიდი, არისხებს ღმერთს. ბევრნი არიან ისეთებიც, რომელნიც აღსარების დროს ეუბნებიან მოძღვარს! «ცოდვილი ვარ, ყოველ წამს ვცოდავ». ასეთი აღსარება თუმცა ერთვის მხრით გვიჩვენებს აღმსარებლის სრულს სინანულს, მაგრამ მეორეს მხრით ცხადათ გვიმტკიცებს აღმსარებლის მოუმზადებლობას ანუ სიზარმაცეს, ვინაიდან დაწვრილებით არ უნდა აღიაროს, თუ რა ცოდვები ჩაუდენია.

ზემო ნათქვამიდან ცხადათა სჩანს, რომ აღსარების ძალა იმაში მდგომარეობს, რათა აღმსარებელმა თავის თავი აღიაროს დიდ დამნაშავედ და ცრემლით შეეცდოს უფალს, რომ მან მიუტყუოს მას ყოველი მისი ცოდვები. საჭირო და სასარგებლოა, რომ ყოველმა აღმსარებელმა იცოდეს წმ. გრიგორი დიდის შემდეგი დარიგება: „სინანული“, ამბობს ეს წმ. მამა, იცნობების ნაყოფით, და არა ძირით ანუ ფოთლებით. უფალმა დასწყევლა ზღვრი, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ ფოთლები, მაგრამ უნაყოფო კი იყო; მაშასადამე მარტო სიტყვიერად ცოდვების აღსრულებას უფალი არ მიიღებს, თუ ჩვენ ამავე დროს ჩვენს სხეულს არ მოვალავთ სინანულის შრომით». ყურადღება მიაქციეთ ამ სიტყვებს. ძირი სინანულისა არის კეთილი განზრახულება აღიარო შენი ცოდვები, ფოთლება არის თვით აღსარება ცოდვებისა სულიერი მოძღვრის წინაშე, სადაც უხილავად დგას ქრისტე და აღთქმის დადება, რომ შემდეგში აღმსარებელი გაისწორებს თავის ცუდ ყოფაქცევას, ხოლო ნაყოფი სინანულისა არის კეთილი ცხოვრება და შრომა სინანულისა: სწორეთ ამით იცნობება ჭეშმარიტი სინანული. განამტკიცე შენი კეთილი განზრახვა, როგორც ძირი; განამრავე ცოდვების აღსარება, როგორც ფოთლება ხეზე; მაგრამ თუ შენ შემდეგში არ მოიტან ნაყოფს, რომელიც ღირსია სინანულისა, თუ არ გაისწორებ შენს ცხოვრებას, თუ არ მოსპობ შენს ცოდვებს ქველის საქმეებით, მაშინ შენ იქნები ხე, რომელიც უფლი-

საგან ვერ მიიღებს კურთხევას;—ეს კიდევ ცოტაა: გეშინოდეს წყევას“.

თუ ცოდვების აღსარების დროს მტკიცედ არ შევასრულებთ ზემოთ დასახელებულნი მოთხოვნილებანი, მაშინ ჩვენი სინანული კარგავს თავის მაღალს და წმიდა მნიშვნელობას და ჩვენი სულისათვის ასეთ სინანულს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. მაშ რაღა უნდა ვსთქვათ, საყვარელნო შვილნო და ძმანო, იმ სინანულზე, რომელიც სრულდება უგულოდ ფორმალურად, იმ აღსარებაზე, რომელიც სრულდება უღებებით. ვაი იმათ, რომელნიც არ ზრუნავენ თავიანთ ცხოვრებაზე, ვაი მათ, რომელნიც მოწიწებით არ ეკადებიან წმ. საიდუმლოს, როგორც ქრისტეს დადგენილობას; წყეულ არს ყველა, რომელიც ღვთის საქმეს ასრულებს დაუღვენელად! ამის უნდა გვეშინოდეს, და ღმერთმა ჰქნას, რომ ეს არ შეგვემოთხვეს ჩვენს!

რაღა ვთქვათ იმაებზე, რომელნიც არ ამბობენ აღსარებას, ანუ აღსარების საქმე ერთი წლიდამ მეორე წელში გადააქვს და თავს იმართლებენ მოუტყელობით. რა საპატიო მიზეზებიც უნდა დასახელოს კაცმა, რომ იგი თავის დროზე აღსარებას არ ამბობს და არ ზიარობს, მაინც თავს ვერ გაიმართლებს და ასეთი მოვლენა ქრისტიანე და ისიც კიდევ მართლ მადიდებელი კაცის ცხოვრებაში სწორეთ სამწუხაროა. ჩემი მღვდელობის სამსახურის დროს მე არა ერთ გზის მომისმენია მიზეზები, რომელთა გამო ზოგიერთები რამდენიმე წლით რჩებიან უაღსარებოდ და უზიარებლად. დავფიქრებულვარ ასეთ პირთა შესახებ და ყოველთვის შემდეგ დასკვნამდე მივსულვარ: დამნაშავეთაგან დასახელებული მიზეზები ყურადღებას არ დაიმსახურებენ, მათ არ ვაეგებათ აღსარების დანიშნულება და ძალა, მათში დაცემულია სარწმუნოება და იმედი. ისეთები, რომელნიც არ ამბობენ აღსარებას და არ ზიარობენ იმიტომ, რომ თავის თავი ცოდვილად არ მიაჩნიათ და არც იციან, რა არის ცოდვა, ძლიერ ცოტანი არიან. უფრო ბევრნი არიან ისეთები, რომელნიც იმიტომ გაურბიან აღსარებას, რომ ისინი ისე შეთვრსებიან თავიანთ ცოდვებს, რომ მათ ცოდვად არ თვლიან, თავიანთ უსჯულოებას ისე უტყერიან, როგორც ჩვეულებრივს, ბუნებრივს და აუცილებელ მოვლენას, როგორც დიდი ხნიდან ტანში დაბუდებული ავადმყოფობა ავადმყოფობად არ ითვლება, არ აფრთხობს სწეულს და ისე მიაჩნია იგი, როგორც ჩვეულებრივი მდგომარეობა სწეულისა. ძლიერ საეჭვოა, რომ ასეთი ხ ლხი გასწორდეს. მათში ისეთებიც არიან, რომელნიც სწორედ შესაბრალისნი არიან, რადგან ისინი ისე ჩაფლულან ცოდვებში, რომ ყოველივე იმედი დაუკარგავთ, ფიქრობენ, რომ ისინი ღვთისგან ვეღარ

მიიღებენ შეწყალებას და ცოდვების მიტევებას. რაც უნდა დაუმტკიცო ამ მოურჯულებელ ცოდვილთ, რომ არ არის ისეთი ცოდვა, რომელიც აღმატოს ღვთის მოწყალებას, რომ სისხლი იესო ქრისტესი გვწმენდს ჩვენ ყოველივე ცოდვისაგან, ისინი მაინც არ გიჯერიან. საწმუხაროდ ზოგნი გაურბიან აღსარებას და ზიარებას იმიტომ, რომ არ სწამთ ღვთის არსებობა, არ სწამთ საიქიო ცხოვრება და არც ის ჯერათ, რომ ყოველი კაცი დაჯილდოებულ იქნება იმის და მიხედვით, თუ რა საქმეები მიუძღვის მას ამის შემდეგ ან კი რაღათ იწოდებიან ასეთი პირნი ქრისტიანებად? რაც უნდა ბევრი უქადაგო მათ, ისინი მაინც ურწმუნონი დარჩებიან და სულიერ მწყემსთ ყოველთვის გაურბიან. ბოლოს არიან ისეთებიც, რომელნიც იმიტომ უარჰყოფენ აღსარებას, რომ აღსარება მათ უბრალოდ დროს დაკარგვად მიაჩნიათ, რადგან აღსარების შემდეგ ისევ მალე ვიწყებთ შეცოდებას. სწორედ სულელური მსჯელობაა! ასე თუ ვიტყვით, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ არც ხელი და არც პირი არ უნდა დავიბანოთ, რადგან გინდ დაიბანო და გინდ არა, მაინც გაგიტუქყიანდება. ეს კი არავის ჯერა და როცა ზოგიერთები აღსარების საჭიროებას უარს ჰყოფენ, მათ კი უჯერებენ. როგორც ყოველ დღე ხელპირის დაბანა წყლით სასარგებლო და სასიამოვნოა, მიუხედავად იმისა რომ შრომისა და მუშაობის დროს ისინი ხელახლად ქუქყიანდებიან; ისე აღსარებაც—სულის ცოდვებისაგან გაწმენდა—ყოველთვის სასარგებლოა, მიუხედავად იმისა, რომ აღსარების შემდეგ ხელახლა ვიწყებთ ხოლმე შეცოდებას; ვინაიდან თითოეული დღე, თითოეული წამი ჩვენ მიერ წმიდათ გატარებული, საუკუნო ცხოვრებისათვის დაკარგულად არ ჩაითვლებიან. ძვირფასია დღე, ზვირფასია წამი, როცა კი ჩვენ უცოდველად ვატარებთ დროს.

ვგონებ ზემოთ ნათქვამიდან ყველანი დარწმუნდებოდნენ, რომ დასახელებული მოთხოვნილებანი წმ. ეკლესიისა, რომელნიც სახეში უნდა ჰქონდეს ყოველ აღმსარებელს, კანონიერი და შეუტყველად ასასრულებელნი არიან; ნაკლულევანებანი და სისუსტე, რომელსაც ჩადიან ზოგიერთები აღსარების დროს, უნდა მოისპოს, ხოლო მიზეზები, რომელსაც ასახელებენ ზოგნი, რომ თავის დროზე აღსარებას ვერ ამბობენ და ვერ ზიარობენ, პატარსადებნი არ არიან, ხოლო ჩვენი სულისათვის არიან დამღუპველნი.



მოიფიქრეთ, საყვარელნო შვილნო და ძმანო ამა-
 ებზე, გასინჯეთ, და თუ რამე ნახოთ თქვენს გონე-
 ბაში, თქვენს სინდისში განხილული კითხვის შესახებ
 ღირსი უარ ყოფისა და გასწორებისა, უარ ჰყავით,
 გასწორეთ, ვიდრემდის მოწყალე უფალი ითმენს
 ზვეწ ცოდვებს და ელის ჩვენს მონანებას, ვიდრემ-
 დის ღვთის მოწყალების კარი არ დაკეტულა ჩვენ-
 თვის და სიკვდილის ჟამიც კარს არ მოგვდგომია.
 უფალი ახლოს არის კარებთან დგას და ელოდება
 ჩვენს სინანულს და გასწორებას! მოინანეთ! მონანე-
 ბის დროს მუდამ გახსოვდეთ იესო ქრისტესთან
 ჯვარზეცმული კეთილ-გონიერი ავაზაკის სიტყვები:
 „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა
 შენითა“, უსმინეთ, წმ ეკკლესიას, რომელიც გიწ-
 ვევსთ თქვენ, რათა მოინანოთ თქვენი ცოდვები,
 აღსარების საქმეს ნუ გადადებთ მეორე წლისთვის;
 მარხვით და ლოცვა-ვედრებით ღირსეულად მოემ-
 ზადეთ აღსარებისათვის, დასდეთ აღთქმა, რომ გა-
 ნადგებთ ცოდვებს და შემდეგში მათ აღარ გაიმეორ-
 რებთ; მუდამ გახსოვდეთ, რომ აღსარების დროს
 სულიერ მოძღვართან უხილავად დგას თვით ქრისტე;
 გულ ახდილად აღიარეთ ყოველი თქვენი ცოდვები;
 გაამხილეთ ყოველივე, რაც კი რამ ცუდი ჩაგიდენ-
 ნიათ და გახსოვთ, ბოდის ნუ მოხლთ თქვენს თავს
 და ნურც გაამართლებთ, გახსოვდეთ, რომ რაც
 უფრო გულ-ახდილად და დაუფარავად აღიარებთ
 ყოველ თქვენს ცოდვებს, იმდენად უფრო კარგია
 თქვენი სულისათვის, გაქენდეთ სარწმუნოება და
 იმედი ღვთის მოწყალებისა და შეწყალებისა, მუდამ
 გახსოვდეთ, რომ აღსარებასთან ერთად პირობა
 დადვით, რომ იზრუნებთ თქვენს გასწორებაზე, მიე-
 ცით აღთქმა, რომ შემდეგ აღარ ცოდავთ, ე. ი.
 აღარ გაიმეორებთ ძველ ცოდვებს და აღარც ახალ
 ცოდვებს მიუმატებთ მათ.

მარხვა, მისი სიწმიდე და მნიშვნელობა ჩვენი
 სულის ცხოვრების საქმეში*).



იდი მარხვა უკვე დადგა, რომელიც, ჩვეულებრივად, თავდება ვნების კვი-
 რიაკით. ეს დიდი მარხვა მოგვაგონებს ჩვენ უფლისა ჩვენისა იესო
 ქრისტეს უდაბნოსა შინა ორმოც დღეს ყოფნას სანამ იგი შეუდგებო-
 და კაცთა ნათესავის საზოგადო სამ-
 სახურს. ეს მარხვა ყველა მარხვებზე
 უფრო ხანგრძლივია: იგი ხანგრძლივია არა მარტო
 პეტრე-პავლობის მარხვაზე, არამედ შობის მარხვაზე-
 დაც. სწორეთ ამ მარხვის ეს ხანგრძლიობა და მისი
 ასრულების სიძნელეა მიზეზი, რომ ზოგიერთებს არ
 მოწონს ასეთი დადგენილობა მართლ-მადიდებელი
 ეკკლესიისა. მაგრამ როცა გამოვიკითხავთ იმ კაცე-
 ბის ვინაობას, რომელთაც არ მოსწონთ ჩვენი მართლ-
 მადიდებელი ეკკლესიის ზოგიერთი დადგენილობანი,
 როგორც მაგალითად, დიდი მარხვა, მათ საყვედურს
 ყოველივე ძალა ეკარგება. მართლაც, ვინ უჩივს დიდ
 მარხვის ხანგრძლიობას და სიძნელეს: ისინი, რო-
 მელიც ამ მარხვებს წმიდათ და დაურღვევლად
 ინახვენ თავის ცხოვრებაში, თუ ისინი, რომელიც
 არ ინახვენ ჩვენი მართლ-მადიდებელი ეკკლესიის
 დადგენილობათ, მაგრამ ამავე დროს ცდილობენ
 სხვა-და-სხვა საპატრიო მიზეზებით თავის გამართლებას?
 საქმიდამ ვხედავთ, რომ სწორეთ ეს უკანასკნელი
 პირნი უჩივიან დიდ მარხვის ხანგრძლიობას და სიძ-
 ნელეს. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მათ შენიშვნას,
 როცა მათ სრულებით არ გამოუცდიათ არც მარხვა
 დღეების სიძნელე და არც ის, თუ როგორ ეხმარე-
 ბიან მარხვა დღეები ჩვენს სულს, რათა ამ უკანასკ-
 ნელმა ძლიოს სხეულს, რომელიც ხშირად გვავიწყ-
 ყებს ჩვენ ყოველივე ზეცურს, ყოველივე მას, რაი-
 ცა ჩვენი ცხოვრებისათვის საჭიროა! სწორეთ დიდი
 სიბრძნეა მზგავსი აზრების გავრცელება, ძმანო!



*) ამ დიდმარხვის დღეებისათვის ჩვენ ყოველთვის
 გვკვებება „მწიგნობრობის“ დაბეჭდილი ღვთის-მსახურების
 გარეშე დროის სუბრეგია და სკაითხვება. იმედი გვაქვს,
 რომ ჩვენი სთფლას მდუღლება ისარგებლებს ამ სუბ-
 რეგებთ და სკაითხვებთ.
 რედ.

მზავსი აზრების მექონე პირნი სჩანს სრულებით არავითარ ყურადღებას არ აქცევენ თავიანთი სულის ცხოვნების საქმეს. მაგრამ ამაზე იცით, რას გვიბასუხებენ ისინი? «ჩვენ გვსურს, გაიძახიან ისინი, ვიზრუნოთ ჩვენი სულისათვის, მაგრამ თუ ასე დიდხანს ვიმარხულეთ, ეს ძლიერ ცუდათ იმოქმედებს ჩვენ ჯანის სიმრთელეზე და შეიძლება კიდევ დავსნეულდეთ!» თქვენ, ძმანო, თვითონ კარგად ხედავთ, თუ რა ცხოვნებაზე ზრუნავენ იგინი. თქვენ ხედავთ, რომ ისინი ზრუნავენ მარტო თავიანთ სხეულზე; თითქო მათ სული არც კი აქვს; მათი სული დაუფლია მათ სხეულს, რომლის ხორციელ ვნებათა დაუვიწყებიათ მათთვის ყოველივე სხვა მოთხოვნილებანი. ასეთი მოაზრენი არიან მოსამსახურენი თავიანთი სხეულისა, იმათ დავიწყებიათ, რომ მათ სხეულს გარდა აქვსთ კიდევ სული, გონიერი და უკვდავი, — სული, რომელიც მაცხოვარმა უძვირფასესად აღიარა არა მარტო კაცის სხეულზე, არამედ მთელს დედამიწაზე. და ნუ თუ ამის შემდეგ კაცმა სულზე უფრო მომეტებულად არ უნდა იზრუნოს? მაგრამ უნდა ვიზრუნოთ სულზე არა ისე, როგორც სახარებაში მოხსენებული მდიდარი ზრუნავდა თავის სულზე. ხსენებულმა მდიდარმა შეკრიბა დიდი სიმდიდრე და მრავალი წლის საყოფი სარჩო და რქვა სულსა თავისა: ჭამე, სვი და იმხიარულე! ჩვენი სული თავისი ცხოვრებისა, ცხოვნებისა და ნეტარი უკვდავებისათვის სრულებით ასეთ საქმელს და მხიარულებას არ საქიროებს. უფალმა უჭკუო დაუძახა მდიდარს, რომელმაც მზავსი სარჩო შეაძლია თავის სულს. იესო ქრისტე მუდამ ურჩევდა თავის მსმენელთ, რომ იგინი არ გამოდგომოდვენ ქვეყნიურ ზრუნვას; უფალი ხშირად იმეორებდა: «რომელმან მოიპოვოს სული თავისი, წარიწყმიდოს იგი და რომელმან წარიწყმიდოს სული თავისი ჩემთვის, მან ჰპოვოს იგი». ეს სიტყვები ნიშნავენ, რომ ვინც მეცადინობს ანუ იმაცადინებს, რომ დაიფაროს სული თავისი ამა ქვეყნიური ცხოვრებისათვის, იგი დაღუბავს მას და მის ცხოვრებას მომავალს ცხოვრებაში. მაშასადამე ჩვენი სულისათვის ქვეყნიურზე კი არ უნდა ვზრუნავდეთ, არამედ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი სული გაიწმიდოს ყოველივე ქვეყნიურისაგან, ცოდვებისაგან, და ყოველივე იმისაგან, რაც აბრკოლებს მას, რომ ნეტარად იცხოვროს ზეცასა შინა. სხვა რომელიდა საშუალებაა უკეთესი თუ არა მარხვა, შერ-

თებული ლოცვასთან, რომელსაც შეუძლია გასწმინდოს ჩვენი სული ყოველივე ქვეყნიურისაგან და განათავისუფლოს იგი ამა ქვეყნისაგან, რომელიც, მოციქულის სიტყვით, „მთლად ბოროტებასა შინა ძევს, და ყოველივე რაიცა მასში ძევს“, მარხვა და ლოცვა ანთავისუფლებს სულს ამა ქვეყნის მთავრის უფლებისაგან, რომლისა „ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსვლად, გარნა ლოცვითა და მარხვითა».

ამ სახით ქრისტიანებრივი მარხვა არის თვით სარწმუნო, თვით ნამდვილი სამკურნალო საშუალება, რომელიც ჰკურნებს ჩვენს სულს ცოდვითაგან და ამით აძლევს მას საშუალებას, რომ ქვეყანაზედაც იცხოვროს ღვთის სასიამოვნოდ, ხოლო ცათა შინა მიიღოს ნეტარი უკვდავება და დიდება. ეს მარხვა, როგორც თვით კაციც შესდგება სულისა და ხორცისაგან, უნდა იყოს ორნაირი: სულიერი და ხორციელი. სულიერი მარხვა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა სულმა უარ ჰყოს ყოველივე ცოდვილი, ყოველივე თვისი ცუდი მიდრეკილებანი და დროებითი შეძენილი ცუდი ჩვეულებანი. ანუ სხვებ: სულიერი მარხვა მდგომარეობს მასში, რომ განვაახლოთ და გავსწმინდოთ ჩვენი გონება და ნება, გავსწმინდოთ ჩვენი გული, რომლისაგან, იესო ქრისტეს სიტყვით „გამოვლენ გულის სიტყვანი ბოროტნი, კაცის კვლანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის წამებანი, გმობანი (მათ. 15, 19) და სხვანი. მაგრამ ცხადია, რომ ასეთი ცვლილების მოხდენა ერთბაშით არ შეიძლება. ამ ცვლილების მოხდენამდე საქიროა თვალი გადავალოთ ჩვენი სულის წარსულს ცხოვრებას, უნდა შევადაროთ ეს ცხოვრება ღვთის სასიამოვნო ცხოვრებას და შევივინოთ, თუ ჩვენი წარსული ცხოვრება რამდენად წინააღმდეგი იყო ღვთისა, უნდა აღვივსნეთ სურვილით, რათა მოვიპოვოთ ეს უკანასკნელი ცხოვრება ჩვენი სულისათვის. ამისათვის კი საქიროა უკუვადლოთ ჩვენი უწინდელი ცოდვილი ცხოვრება და დავადგეთ იმ გზას, რომელიც ნაჩვენებია უფლისგან და რომელი გზაც მიგვიყვანს ჩვენ სასუფეველში. თუ როგორ უნდა შეინახოს ქრისტიანე კაცმა მარხვა და ან რაში უნდა გამოიჩინოს მარხულობა, ეს ცხადათ გამოხატულია ერთ სადიდმარხვო ეკლესიურ საგალობელში. აი ეს საგალობელი. „ვიმარხოთ, ძმანო, მარხვა წმიდა სათნო უფლისა, ქვეშაირიტი მარხვა არს ბოროტთა უცხო ყოფა, დაჭირვა ენისა, აღვირსხმა გულის წყრომისა და განშორება ბოროტთა გულის თქმათა... მივიღოთ სახლსა შინა გლახაკნი უსახლ-კარონი, მივსცეთ მშვიერთა საზრდოა».



და სხვანი. ამ საგალობელში ნაჩვენებია, თუ რა უნდა უარყოს ჩვენმა სულმა და ან რა უნდა მოიქმედოს. პირველად ნათქვამია ამ საგალობელში, რომ ჩვენ უნდა უკუვავდეთ ყოველივე უსამართლოება, რომელიც შეეხორცა ჩვენს სულს და მისდამი ცხოვრებას. შემდეგ ჩვენი სული მივაჩვიოთ კეთილის ქმნას და ქველი საქმეების აღსრულებას.

როგორც თავისი თავის განკითხვისათვის, ისე ღვთის სასიამოვნო საქმეების ჩადენისათვის საჭიროა, რომ ჩვენი სხეული არ ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს სულს და ხელს არ უშლიდეს მას, რათა იცხოვროს ღვთის სასიამოვნოდ. სხეულის დამშვიდება შეიძლება მხოლოდ ხორციელი მარხვით, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ დროებით უარვყოთ არა მარტო ზორცის და თევზის საქმელები, არამედ სხვა სასმელ საქმელიც ზომიერად ვინმაროთ. ასეთი მოთზინება, როგორცა ვთქვით, საჭიროა ჩვენი სხეულისათვის, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს სულს და არ აღძრას ამ უკან. სკნელში სულის მავნებელი მოქმედებანი და მისწრაფებანი და ამით საშუალება მისცეს სულს, რომ იგი კარგად ჩაუკვირდეს თავის თავს, თავის აწმყო მდგომარეობას, თვალი გადაავლოს აგრეთვე თავის წარსულ ცხოვრებას, რომ ცხადათ წარმოიდგინოს, თუ რა დიდი უბედურება მოვიდეს მას, თუ იგი არ უარჰყოფს თავის ცოდვილ ცხოვრებას, არ გამოიცვლის მომავალში თავის ყოფაქცევას. ვინაიდან ხორციელ მარხვას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სულისათვის, ამიტომ მარხვა უნდა შევინახოთ დიდის სიმკაცრით, როგორც ამას გვიბრძანებს წმიდა ეკლესია. წმიდა და ღვთის სათნო მყოფელნი ყველა მარხვებს ინახავდენ წმიდათ და კანონისაებრ. ხოლო წმიდა თედორე ტირონელი, [მხედარი] რომლის მოსახსენებლად ყველგან დიდი მარხვის პირველი კვირიაკის პარასკევს წირვაზე, ჩამოლოცვის დროს, იგალობება საპარაკლისო კანონი და აკურთხებენ ხოლმე წანდილს (პურის მოხარული მარცვლები თავლში არეული), მარტო თვითონ კი არ ინახავდა სიმკაცრით ქრისტიანულ მარხვა დღეებს, იგი აგრეთვე მეცადინობდა, რომ სხვებსაც სიმკაცრით შეენახათ მარხვა. აი ერთი შემთხვევა ამ წმიდა მამის ცხოვრებიდან. ამ წმ. მამის გარდაცვალების შემდეგ განვლო 50 წელმა, იმპერატორმა იულიანემ, ღვთის უარის მყოფელმა და ქრისტიანობის ბოროტმა მღვწელმა, მოინდომა ქრისტი-

ნული მარხვის გაუპატიურება დიდ მარხვის პირველ კვირიაკეს, რომელთაც ძველი დროიდგან განსაკუთრებით პატივსა ცემდენ და უნდოდა ქრისტიანების სასაცნოდ აღება. ამიტომ მან უბრძანა (362 წელს) კონსტანტინეპოლის უფროს, რომ ამ უკანასკნელს დიდ მარხვის პირველი კვირიაკის ყოველ დღე თურულად კერპთადმი შეწირული ცხოველების სისხლი გადაესხა ხოლმე იმ სანოვაგეზე, რომელიც ჩვეულებრივად ბაზარში გასასყიდათ გამოქონდათ ხოლმე. უფროსმა აღასრულა ბოროტი ბრძანება ივლიანესი. მაგრამ ქრისტეს მტერთა ბოროტი განძახვა შეიტყვეს ქრისტიანებმა. წმ. დიდი მოწამე თევდორე გამოეცხადა კონსტანტინეპოლის მწყემს-მთავარს ევდოკის და უბრძანა მას მოუწოდოს მორწმუნეთ დილით ადრე, წმიდა ორშაბათს და აღუკრძალოს მათ შეგინებული საქმელის ყიდვა ბაზარში. ამ ბრძანების აღსრულება ერთის შეხედვით საძნელოდ ეჩვენა მწყემს-მთავარს, ვინაიდან ამის აღსრულება შეუძლებლად დაინახა იმათის მხრით, რომელთაც სახლებში არ გააჩნდათ სასმელ-საქმელი და რომელიც ყოველივე ამას დღიურად ყიდულობდენ ბაზარში. მაშინ დიდმა მოწამემ ურჩია საქმელად იხმარონ წანდილი. და ქრისტიანებიც მთელი კვირა წანდილი ხმარობდენ საქმელად. ასე მხილებულ და შერცხვენილ იქმნა ბოროტი იმპერატორის ბრძანება.

ვეცადოთ, მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენო, რომ ყველა მარხვა დღეები შევინახოთ ჯეროვანის სიწმიდით, რომ ღირსი მიმბაძველი შევიქნეთ წმიდა და ღვთის მოსავ მამათა, რომელნიც ჩვენთვის ევედრებიან უფალს და არა ღვთის ეკლესიის ბოროტ მგმობელთ, ეშმაკის სათნო-მყოფელთ, რომელიც დამკვიდრებულია მათ სხეულში და რომელიც მუდამ ეწინააღმდეგება მათ სულს და საუკუნო ცხოვრებას. მუდამ ვსასოებდეთ უფალზე და იგი გვასაზრდოებს ჩვენ.



განხილვანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ორ კვირულ გამოცემათა ქართულს

„მწემს“-ზე

რუსულ «П А С Т Ы Р Ъ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწემსი» 3 მ. | 6 თვით «მწემსი» 2 მ.
— ,,რუსული,, 3 მ. | — ,,რუსული,, 2 მ.
— ,,ორივე გამოცემაზე,, — ,,ორივე გამოცემაზე,,

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვიარაღსა, აგრეთვე ქუთაისშიც. თბილისში წერა-კახტის გამაერცილელ საზოგადოების წევრის მალხაიძე, ბ. შო-ქუ-ა-შვილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაქაროვთან; სახსურში — ყარასან ჩხვიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუროვთან; ახალციხეში — ბლაღოჩინ მათა არისტარქ კალანდარი-შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლაბორატორიის გაწევრების დანებობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილუბის სახლებში და ვიარაღსა რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხორებთ ქურნალის დაბარებულ შემდგომთ ამ ადრესით: Вь Квирилы, вь редакцию газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «П А С Т Ы Р Ъ».

მომავალი წლის სეკლის მომწერთათვის დანიშნულია სახუქრად სახსლის ღვთის-

გეოგრაფიული ნახატი.

და ჩვენი მოღვაწის ბეტონის

აკაკის სურათი,

ბრესტოლის ქალაღზე დაბედილი.

შემოდანიშნულ სახუქრებს სეკლის მომწერნი მიიღებენ ფულის შემოტანისთანავე.

ჩვენი „კრებული“

მეორე წელიწადში გადაღვა.

დღემღი ჩვენ უფლება არა გვექონდა, რომ გარდა ყოველგვარ ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვეგეტა ჩვენს «კრებულში», დღეს-კი ნება გვაქვს, რომ სხვებისაც ვებეჭდოთ ხოლომე, და უკეთესმა ჩვენმა მწერლებთანავე კიდევ აღვკითქვეს დახმარება.

ფასი იმისვე დარჩება: ვაგზავნით ფოსტით 7 მან., გაუგზავნელად — 6 მან., ნახევარის წლით — 4 მან., თვეურად და კერძო №-რი — 60 კ.

(ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება).

რედაქცია გადაცანაღი დ. ვეიარაღსა

კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ჩვეულებრივზე იათად და განცხადების ფულის გარდახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ადრესი გამომწერლებისათვის: დ. ყვირილა, „კრებული“-ს რედაქცია და თბილისში წერა-კითხვის გამაერცი. საზოგადოება.

„კრებული“-ს რედაქტორი და გამომც. პაპაი.

P. S. ბევრი ვაკეთებებს, „თავგადასწავლის“ ვაკრებულებს იქნება თუ არა. ამ წელში კიდევ დაიბეჭდება ეს თხზულება და ბევრი სხვაც, რომელიც უკვე დამზადებულია.

ამ წელშივე გამოვა ცალკე წიგნად ბ-ნი მოსე ჯანაშვილის „კალმეორაფიული აღმოგმი“, რომელიც „კრებული“-ს სეკლის-მომწერებს იათ ფასად დაეომებათ.

რედაქციაში შესძენად მოიპოვება წარსული წლის „კრებული“-ს თორმეტივე წიგნი, ფასი შეიდი მანეთი.

შინაარსი:

სალიტერატურა განყოფილება: დამოკიდებულება სარწმუნოებასა და ზნეობას შორის. — გარეგნობით კეთილ-ნახურების დაცემის მიზეზი ჩვენ ხალხში და მისი აღსადგენი საშუალებები, — ჩემს შვენიერ შთაბეჭდილებას შენც ვაკვირებ, მკითხველო! — ადამის მუღარება (ლექსი). — ახალი ამბები და შენიშვნები —

სწავლა და მცენიარება ღრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კათილწენოებაზე: მონაწება, ანუ ცოდვების აღსარება — მარხვა, მისი სიწმიღე და მნიშვნელობა ჩვენი სულის ცხოვნების საქმეში. — განცხადება.